



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

**ო კ მ ი N19**

ქ. მარნეული

19.11.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ნადირ გულიევი, დავით ხუციშვილი, ალი მურადოვი, არსენ ახვერდიანი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ადილ გურბანოვი, ივანე ხალულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ტარიელ მამედოვი, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, ლევონ აკოპიანი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, როვმან ისკანდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი **დიმიტრი აბრამიშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **მარინე ბახტურიძე**, აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: **მარიამ ირიაული**, **მამუკა გიგანი**, **ნიკა კუსიანი**, **გაბილ ხალილოვი**, **აგილ ამირჯანოვი**, **ორხან ნაბიევი**, **რამაზ კარახმაზლი** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ომარ ლუხუტაშვილი** სტაჟიორი - **მედეა გიორგაძე**.

ასევე ესწრებოდნენ:

რადიო მარნეულის და მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის შესახებ.
3. სოციალური საკითხები.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 17 ნოემბრის N32-3221321106 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N40. 19.11.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა წევრმა რომან ტაბატაძემ საკრებულოს წარუდგინა მიმდინარე წლის ანგარიში. რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეცხრამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე